ნინო ფეტვიაშვილი
უმცირესობათა ენების ექსპერტ-კონსულტანტი
სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

მასტერკლასი რუსულ ენაში:

“აქტიური მეთოდების გამოყენება რუსული ენის გაკვეთილებზე მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნებისა და შემოქმედებითი უნარების განვითარების ხელშეწყობისთვის”

მასწავლებლის საქმიანობა ეფექტიანია, თუ ის არ კმაყოფილდება მიღწეულით, მუდმივად ეცნობა სიახლეებს საგნის სწავლებაში, მომენტალურად რეაგირებს ცვლილებებზე, ეძებს მოსწავლეთა მოტივირებისა და მათი აკადემიური შედეგების გაუმჯობესების გზებს. მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის ერთ-ერთი მიმართულებაა კრიტიკული აზროვნებისა და შემოქმდებითი უნარების განვითარება საგაკვეთილო პროცესში.

სასწავლო პროცესში პრაქტიკული დავალებებისა და სიმულაციური სიტუაციების ნაკლებობა იწვევს მოსწავლეების დემოტივაციას. უცხოური ენის სწავლების თანამედროვე მიდგომა კი სასწავლო პროცესში მასწავლებლის მიერ მრავალფეროვანი დავალებების შექმნასა და მათ გამოყენებას გულისხმობს.

საჭიროებიდან გამომდინარე და მოცემული რეალობის გათვალისწინებით გთავაზობთ მასტერკლასს რუსულის, როგორც უცხოური ენის, მასწავლებლებისათვის.

მასტერ კლასის შედეგად:

- მონაწილეები გაეცნობიან ინტერაქციული სწავლების მნიშვნელობას და მის ფართო შესაძლებლობას მოსწავლეთა კრიტიკული და შემოქმედებითი უნარების განვითარებაში.
- მონაწილეებს საშუალება ექნებათ მოახდინონ საგაკვეთილო პროცესში გამოყენებული აქტივობების სიმულაცია.
- მონაწილეები მიიღებენ რეკომენდაციებს მათთვის პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით.

მასტერ კლასის მიზნობრივი ჯგუფი: რუსულის, როგორც უცხოური ენის, მოქმედი პედაგოგები.

მასტერ კლასზე მსმენელთა რაოდენობა: 20 მსმენელი.

მასტერ კლასის ხანგრძლივობა: 4 საათი.